ᲞᲘᲠᲐᲥᲘ

№5 (10.110)

2-9 მარტი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გილოცავთ!

ძვირფასო დედებო და მომავალო დედებო, გაზაფხულდა და თქვენი ლამაზი დღესასწაულიც დადგა.

უპირველესად მოგახსენებთ, რომ თქვენთვის ძალიან კარგი სიახლე გვაქვს - ჩვენი გადაწყვეტილებით, გაიზარდა ერთჯერადი ფულადი დახმარება ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე. ამიერიდან პირველი და მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში ოჯახი 500 ლარს მიიღებს, მესამე ბავშვზე 700 ლარს, ხოლო მეოთხე და მომდევნო შვილის დაბადებისას ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 000 ლარი გადაეცემა. სოციალური პაკეტის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაზრდა, ჩვენი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას მომავალშიც გავაგრძელებთ.

აქვე გეტყვით, რომ პირადად მე თანამშრომლებთან ერთად ჩართული ვარ ყველა ღონისძიებაში, რომელიც გენდერული თანასწორობის საკითხებს ეძღვნება და რაც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე გენდერული გარემოს გაუმჯობესებას. ასევე აქტიურად ვმონაწილეობ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილ კამპანიებში და სხვა. დარწმუნებული ვარ, ეფექტური სამოქმედო სტრატეგიის განხორციელება დაამარცხებს ფემიციდს და სამოქალაქო საზოგადოებაში ქალის ფუნქციას კიდევ უფრო გაზრდის.

ძვირფასო დედებო, გილოცავთ 3 მარტს. გისურვებთ იყოთ წარმატებული შვილების აღმზრდელები და თვითონაც წარმატებულები. მრავალს დაესწარით ბედნიერები და ჯანმრთელები. უფალი გფარავდეთ!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო დედებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დედის დღეს! დედა ის ფენომენია, რომელსაც ეძღვნება ჩვენი ცხოვრების ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი წამი, მთელი ჩვენი სიცოცხლის ანი და ჰოე. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, ზოგჯერ მაინც ვერ ვახერხებთ იმ პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვას, რომელიც მათ მიმართ გაგვაჩნია. 3 მარტი კი თითოეულ ჩვენგანს მათ მიმართ არსებული განუზომელი სითბოსა და სიყვარულის გამოხატვის საშუალებას გვაძლევს. ჩვენს ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოში ქალისადმი პატივისცემა ოდითგან გააჩნდათ. ვფიქრობ, ისტორიულად ჩამოყალიბებული ამ ტრადიციიდან, ჩვენს ერს მნიშვნელოვნად არასოდეს გადაუხვევია და თანამედროვე ქალი უწინდებურად არის აქტიური სამოქალაქო პირი და ოჯახის ბურჯი. ამის მიუხედავად, გვაქვს გენდერული ნიშნით ადამიანის ჩაგვრის და სიცოცხლის მოსპობის შემთხვევები, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომაც თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ფემიციდს. ჩვენო მშვენიერო, ამაგიანო, საამაყო და შვილების ღირსეულად აღმზრდელო ქალბატონებო, გისურვებთ წარმატებებს, ულევ სიხარულს, დღეგრძელობასა და გახარებას თქვენს „ლამაზად გაზრდილ შვილებთან“ ერთად. ასევე გისურვებთ, რომ იყოთ ბედნიერი დედები, მეუღლეები, ბებიები, შვილები, დები... იყავით ყოველთვის ლამაზები და ხალისიანები. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

კახეთს 31 ახალი ავტობუსი გადაეცა

კახეთში, რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის ახალი სამგზავრო ავტობუსების გადაცემის ღონისძება გაიმართა.

ღონისძიებას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის წევრები - ირაკლი ქადაგიშვილი, დავით სონღულაშვილი, გელა სამხარაული და დავით მათიკაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რეგიონებისთვის ახალი ავტობუსების შეძენა განხორციელდა. პროექტის ფარგლებში „ისუზუს“ ფირმის 154 ერთეული, 8-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა განხორციელდა, რომლებიც ქვეყნის 38 მუნიციპალიტეტში გადანაწილდა.

ახალი ავტობუსების შესყიდვისთვის ბიუჯეტიდან 53 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. ახალი სამგზავრო ავტობუსების საქართველოში ჩამოყვანა შესყიდვების სააგენტოს მიერ

გამოცხადებული, კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულმა კომპანია „ჯითი გრუპ“-მა უზრუნველყო.

პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონს 31 ერთეული ახალი, სამგზავრო ავტობუსი გადაეცა, რომლებიც მუნიციპალიტეტებში გადანაწილდება. ორი ახალი ავტობუსი გადაეცა დედოფლისწყაროს. ავტობუსები მოქალაქეების შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტირებას მოემსახურება. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ახალი, კომფორტული, EURO 5-ი სტანდარტის ავტობუსების შეძენით, კახეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული შიდა სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარდება. ასევე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება.

C M Y K

„სატაცურზე მოთხოვნა 3-ჯერ გაიზარდა“ – „რკ ოზაანი“ წარმოებას აფართოებს

„2015 წლიდან დღემდე, სატაცურზე მოთხოვნა 3-ჯერ გაიზარდა“. ამის შესახებ „რკ ოზაანის“ დამფუძნებელმა განაცხადა. კოოპერატივმა პროდუქტის წარმოება სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო და როგორც ჯაბა გოგოლაშვილი აღნიშნავს, მას შემდეგ, ცნობიერების ზრდასთან ერთად, ბაზარზე მწარმოებლებიც მომრავლდნენ.

მისივე თქმით, გასულ სეზონთან შედარებით, წელს კომპანია საკრეფი სატაცურის ფართობს 5-იდან 6 ჰექტრამდე გაზრდის, ახალ ნათესებს კი, ერთ ჰექტრამდე.

„მოთხოვნა მუდმივად იზრდება, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც წარმოდგენა აქვს სატაცურზე, მაგრამ არ დაუგემოვნებია. მას შემდეგ, რაც წარმოება დავიწყეთ, 2015 წლიდან, 3-ჯერ (შეიძლება მეტჯერაც) არის გაზრდილი მოთხოვნა. თავიდან ჩვენ დიდი რაოდენობა არც გვქონდა, გარდა ამისა, ბაზარზე სხვა მწარმოებლებიც ნაკლები იყვნენ. ახლა რაც ბაზარზე იყიდება, თითქმის სულ ადგილობრივია. იმპორტირებული ძალიან მცირეა და ისიც არასეზონურად შემოდის.

რაც შეეხება ფართობს, აქამდე საკრეფი გვქონდა 5 ჰექტარი, წელს გაზაფხულიდან უკვე 6 ჰექტარი გვექნება და კიდევ ვაპირებთ 1 ჰექტრის გაშენებას. თითქმის ყოველ წელიწადს ვამატებთ ფართობს“,- ამბობს ჯაბა გოგოლაშვილი.

მისივე თქმით კოოპერატივი სეზონურად, 2 თვის განმავლობაში, 10-15 ადგილობრივს ასაქმებს, მუდმივად კი 2-3 თანამშრომელი ჰყავს, რომელთა რაოდენობა, წელს სავარაუდოდ, ასევე გაიზრდება.

ცნობისთვის, კოოპერატივი „რკ ოზაანი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში 2015 წელს დარეგისტრირდა და მისი ძირითადი საქმიანობა სატაცურის წარმოებაა. ჯაბა გოგოლაშვილის ინფორმაციით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება, დაახლოებით, 30 000 ლარია.

„ლიტრი საწვავი საქართველოში, შესაძლოა, მარტის ბოლოდან 20 თეთრით გაძვირდეს“

„მარტის ბოლოდან ლიტრი საწვავი საქართველოში შესაძლოა, 20 თეთრით გაძვირდეს,“ – ამის შესახებ ეკონომისტმა ოთო აბესაძემ განაცხადა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ რუსეთიდან იაფი საწვავის შემოტანა ველარ მოხდება და ქართულ კომპანიებს საწვავის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან მოუწევთ, რაც ხარჯებს გააძვირებს.. ამ დრომდე იაფი საწვავის მომწოდებლად რუსული მხარე ითვლებოდა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, მიხაილ მიშუსტინმა, პირველი მარტიდან ბენზინის ექსპორტის 6 თვით აკრძალვის შესახებ დადგენილება დაამტკიცა. რუსეთი კი, საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი იმპორტიორია და იმპორტის დაახლოებით 60-61% სწორედ რუსეთზე მოდის. შესაბამისად, მათგან ექსპორტის აკრძალვამ შესაძლოა, ფასის ცვლილება საქართველოშიც გამოინვიოს, რადგან იმპორტიორებს რუსული საწვავის ჩანაცვლება მოუწევთ, რაც უფრო ძვირი ჯდება.

„რუსეთის მხრიდან ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ არასტაბილური პარტნიორია და ეკონომიკურად როდის შექმნის პრობლემას არავინ იცის. აქ მთავარი როლი ახლა გადადის ნავთობიმპორტიორების ხელში, მათ უნდა შეძლონ და ლოჯისტიკური ხარჯების შეკვეცა/შემცირებით და ახალი გზების პოვნით დააბალანსონ ფასთა შორის სხვაობა.

ჩვენი „უპირატესობა“ იყო ის, რომ საქართველოში იმპორტირება ხდებოდა რუსეთიდან უფრო იაფად, ვიდრე ეს მოხდება აზიიდან ან ევროპიდან. შესაბამისად, თუ რუსეთის მიერ ექსპორტის აკრძალვის შემდეგ ევროპულ ბაზარზე მოხდება გადაწყობა, ლოჯისტიკური ანუ იმპორტირების ხარჯი თავისთავად აისახება საქართველოში საწვავის ფასშიც.

ვვარაუდობთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ტრანსპორტირების ხარჯები არ გაიაფდა და დარჩა იგივე, რაც არის დღეს, ლიტრი საწვავი დაახლოებით 20 თეთრამდე გაძვირდება. რაც შეეხება ვადებს, ფასის მატება მოსალოდნელია მარტის ბოლოდან, თვენახევრიან-ორთვიან პერიოდში,“ – აღნიშნა აბესაძემ.

სასიამოვნო სიახლე!



სისხლის დონაციის აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დედებმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ის და სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს.

აქცია „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ თბილისის სისხლის გადასხმის სამოქალაქო სადგურმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განახორციელა.

გზების რეაბილიტაცია გრძელდება

აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის ნაწილის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის მოსაფალტების სამუშაოები. რეაბილიტაცია რამდენიმე თვეში დასრულდება და მოქალაქეები კიდევ ერთი ახალი გზით ისარგებლებენ.

„აღნიშნული გზა ქალაქის ცენტრს ე.წ მიკრორაიონთან და ცენტრალურ პარკთან აკავშირებს და ერთ ერთი მნიშვნელოვანი გზაა ჩვენთვის. პროექტის ღირებულება 1,9 მილიონია და ა/წ ზაფხულში დასრულდება. სრულიად განახლდება 2,5 კმ საგზაო ინფრასტრუქტურა,“ – აღნიშნავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**.

„ფქვილზე საიმპორტო გადასახადი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ რუსეთის მცურავი ფასი არსებობს“

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის განცხადებით, იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადი იქამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ფქვილსა და ხორბალზე რუსეთის მიერ დაწესებული მცურავი ფასი არსებობს.

როგორც ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლევან სილაგავამ** მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, საიმპორტო გადასახადმა დადებითად იმუშავა, რადგან, რომ არა ის, საქართველო შესაძლოა, მისულიყო იქამდე, რომ წისქვილკომბინატები გაჩერებულიყვნენ. აღნიშნულმა დადგენილებამ „7-8 თვის განმავლობაში ძალიან სერიოზულად იმუშავა და შესაბამისად, დღეს ბაზარზე არის სტაბილურობა“.

„ეს დადგენილება 2023 წლის ივნისში შემოვიდა და ახლა გაგრძელებულია. რეალურად, ამ დადგენილების ძირითადი არსი დაწყებისთანავე იყო ის, რომ ამ სამ დარგს (მემარცვლეებს, წისქვილკომბინატებს, პურის მწარმოებლებს) გამართულად ემუშავა. შეგახსენებთ, რომ მანამდე 2023 წლის ივნისამდე დაახლოებით წელინად-ნახევრის-ორი წლის განმავლობაში წისქვილკომბინატები და მემარცვლეები (ფერმერები) არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ფქვილის იმპორტთან მიმართებაში, იმიტომ, რომ მანამდე ორი წლით ადრე რუსეთმა მცურავი ბაჟი ხორბალზე შემოიღო და იგივე გადასახადი ფქვილზე დატოვა. გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთი გეოგრაფიულად ჩვენი პარტნიორია, იქედან ხორბალი და ფქვილი შემოდის. შესაბამისად, მაშინ ამ არათანაბარმა პირობებმა ფქვილზე და ხორბალზე გადასახადის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ფაქტობრივად, იმპორტი ფქვილის სასარგებლოდ გაკეთდა. შესაბამისად, ამან გამოიწვია ის, რომ 2023 წლის ივნისის თვისთვის იქამდე მივედით, რომ ყოველი მე-5 პარტია რუსეთიდან ექსპორტირებული ფქვილი შემოდიოდა საქართველოში, რაც ძალიან სერიოზული პრობლემა იყო, ეს რომ გაგრძელებულიყო, ფაქტობრივად, შეიძლება იმ მომენტამდე მივსულიყავით, რომ საბოლოოდ წისქვილკომბინატებსაც ვერ ემუშავათ და თვითონ ხორბლის ჩაბარებაც ვერ მომხდარიყო. მაშინ ზუსტად ეს იყო დადგენილების შემოღების მიზეზი. იმის შემდგომ, 7-8 თვის განმავლობაში ამ დადგენილებამ ძალიან სერიოზულად იმუშავა და შესაბამისად, დღეს ბაზარზე არის სტაბილურია. აქედან გამომდინარე, ამ დადგენილების გაგრძელება აგრძელებს ამ სტაბილურ მდგომარეობას, მათ შორის თვითონ ფერმერებისთვის. მომავალი ივნისის თვის მოსავლის ჩაბარების კუთხით, წისქვილკომბინატებს, მათ სტაბილურ მუშაობას და პურის ფასს, არაფერი ემუქრება. შესაბამისად, ყველა მიმართულებით ამან დადებითად იმუშავა.

დადგენილების მიხედვით, საიმპორტო გადასახადი შენარჩუნდება სექტემბრის თვემდე. და რატომ სექტემბრის თვემდე? მთავრობამ, სავარაუდოდ, განსაზღვრა სექტემბრის თვე, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ივნისის თვეში იწყება ახალი მოსავლის აღება და შესაბამისად, სადღაც სექტემბრის თვისთვის, ფაქტობრივად, ამ ახალი მოსავლის დაბინავება და რეალიზაცია ხდება“, - განაცხადა სილაგავამ. მისივე შეფასებით, აღნიშნული დადგენილება უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ მცურავი ბაჟი ხორბალზე იარსებებს. „დადგენილების მიხედვით გადასახადი გრძელდება სექტემბრის თვემდე. რაც შეეხება ასოციაციის პოზიციას, დადგენილება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ იარსებებს თვითონ მცურავი ფასი ხორბალზე, რომელსაც აბალანსებს ფქვილის საიმპორტო მოსაკრებელი. თუ მანამდე მოიხსნა მცურავი ფასი, უნდა მოიხსნას ფქვილის საიმპორტო ფასიც“, - განაცხადა ლევან სილაგაძემ.

შეგახსენებთ, მთავრობის გადაწყვეტილებით საიმპორტო გადასახადი ფქვილზე 2023 წლის ივნისიდან ამოქმედდა და ტონაზე 50 ლარს შეადგენდა. მოგვიანებით, 2023 წლის 10 ოქტომბრიდან ეს გადასახადი 250 ლარამდე გაიზარდა. გადასახადი 2024 წლის პირველ მარტამდე უნდა ყოფილიყო ძალაში, თუმცა ახლახან ცნობილი გახდა, რომ საიმპორტო გადასახადი პირველ სექტემბრამდე გაგრძელდება.

საზოგადოებრივი ცენტრი რეაბილიტირდა

სოფელ არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. აღმოიფხვრა პრობლემები, რომლებიც შენობის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა. დაზიანებული ჭერის გამო შენობაში წყალი ჩადიოდა, რის გამოც შენობის რეაბილიტაცია საჭირო გახდა.

სოფელ არხილოსკალოში 2016 წლის 20 ივლისს იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა თეა წულუკიანმა და პარლამენტის წევრმა ირაკლი შიოლაშვილმა საზოგადოებრივი ცენტრის ახალი შენობა გახსნეს. ვინაიდან სამივე სოფელი ერთადაა თავმოყრილი და რაიონული ცენტრიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული, ხელისუფლებამ გადაწყვიტა სახელმწიფო სერვისების გასამარტივებლად იქ ე.წ. იუსტიციის სახლი აეშენებინა, რათა ქედების ზონის მოსახლეობას ქალაქ დედოფლისწყაროში სიარული აღარ დაჭირვებოდათ. ცენტრის ამოქმედების შემდეგ მათ 40 კილომეტრის მოშორებით გადაადგილების საჭიროება აღარ აქვთ და ყველა მომსახურებას ადგილზე იღებენ.

საბანკო და საჯარო სამსახურების გარდა ამავე შენობაში მოქმედებს სოფლის ადმინისტრაციული ერთეულიც. არხილოსკალოში მერის რწმუნებული **სოსო კობაიძე** ამბობს, რომ ახლახან დასრულდა საზოგადოებრივი ცენტრის შენობის რეაბილიტაცია. აღდგა როგორც ჭერი, მილები, ასევე ჩატარდა კოსმეტიკური სამუშაოებიც. განახლდა შენობის ფასადიც. კობაიძის განმარტებით, მანამდე შენობაში გათბობა ელექტროსისტემაზე იყო მოწყობილი, რადგან საზოგადოებრივი ცენტრის გახსნის დროს სოფელში გაზი საერთოდ არ იყო, ახლა კი ამის პრობლემა აღარ დგას და ბუნებრივი აირის გათბობის სისტემა დამონტაჟდა.

ქედების ზონის მაცხოვრებლები იმ დროს იხსენებენ, სანამ ადგილზე საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნებოდა. ისინი იმ სირთულეებზე საუბრობენ, რასაც სახელმწიფო სერვისების მისაღებად, რაიონულ ცენტრში წასვლისას, არც ისე დიდი ხნის წინ აწყდებოდნენ. მათი განმარტებით, ახლა აღარც მთელი დღის დაკარგვა უწევთ და დროის გარდა ზოგავენ ფინანსურ ხარჯებსაც.

„საზოგადოებრივი ცენტრის გახსნის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაგვიმარტივდა. წარმოიდგინეთ, პირადობის მოწმობა გვინდოდა, თუ საჯარო რეესტრის მომსახურება, ყველაფრისთვის ქალაქ დედოფლისწყაროში მივდიოდით, რამდენიმე საათი ველოდებოდით და მერე უკან უნდა დავბრუნებულიყავით. შემდეგ მეორე დღეს დოკუმენტის გამოსატანად ისევ ამხელა გზაზე წავსულიყავით. ყველა ოჯახს ხომ არ ჰყავს ავტომანქანა? ამის გამო ან მეზობელსა და ნათესავებს თხოვდა ხალხი, ან მიკროავტობუსს მივყვებოდით. ძალიან რთული იყო და წლების მანძილზე ასე ვწვალობდით. არხილოსკალოს საზოგადოებრივი ცენტრი კი ისეთ ადგილზე აშენდა, ყველა სოფლისთვის ხელსაყრელია და მარტივად ვახერხებთ აქ მოსვლას. ჯერ მხოლოდ ბანკომატის დადგმაც რამხელა შეღავათი იყო ჩვენთვის. დაემატა „ლიბერთი ბანკის“ ფილიალიც და პენსიონერებისთვის ეს წარმოუდგენლად დიდი შვებაა“ — აღნიშნავენ ადგილობრივები.

ილია მარტყოფლიშვილი

სოფლის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტები შეირჩა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის საერთო კრებები დასრულდა. 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობამ თავად გამოავლინა. გთავაზობთ პრიორიტეტების ჩამონათვალს სოფლების მიხედვით.

ზემო ქედი

1. სოფლის ცენტრალურ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. (არსებული სანათების შეცვლა ლედ სანათებით);
2. სოფლის სარეკრეაციო სივრცეში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა;
3. ადმინისტრაციულ შენობაში დაზიანებული შეკიდული ჭერის რეაბილიტაცია;

არხილოსკალო

1. სოფელში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელ გზაზე არსებული გადასასვლელების რეაბილიტაცია, ერთი ახალი გადასასვლელის მოწყობა და სოფლის სასაფლაოს შიდა გზის მოხრეშვა;
2. სოფლის ცენტრალურ გზაზე ახალი სანათების მოწყობა (თავის კრონშტეინით);

ქვემო ქედი

1. სოფლის ცენტრალურ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. (არსებული სანათების შეცვლა ლედ სანათებით)
2. სოფლის ცენტრში არსებულ სკვერში ვაჟა-ფშაველას მონუმენტის მოწყობა;

სამთაწყარო

1. რუბენ მურვანიძის სახელობის სკვერის მოწყობა;

ფიროსმანი

1. სოფლის მიმდებარედ არსებული არტეზიული ჭის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
2. შინდისის გმირთა მემორიალის პარკში გარე განათების რეაბილიტაცია;

საბათლო

1. სოფლის სასაფლაოზე არსებული ჩარდახის რეაბილიტაცია;
2. სოფლის საბავშვო ბაღის ეზოში საბავშვო ატრაქციონის დამატება;

ზემო მაჩხაანი

1. სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია (ძველი სანათების შეცვლა ახალი ლედ სანათებით);
2. სოფლის ე.წ. „ფხოკის“ სასაფლაოზე ჭიშკრის შეკეთება (2 ჭიშკარი) და მავთულბადით შემოღობვა;

მირზაანი

1. სოფლის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, დეკორატიული მესერით შემოღობვა და ეზოში მოსაცდელი სკამების დადგმა;
2. სოფლის ცენტრში არსებულ სანიაღვრე არხზე ლითონის ცხაურების მოწყობა;
3. სოფლის გამორჩენილ უბნებში გარე განათების მოწყობა;

არბოშიკი

1. ე.წ. „კოტაანთ უბანში“ არსებულ ბავშვთა გასართობ მოედანზე საბავშვო ატრაქციონის (სასრიალო) დამატება;
2. სოფელ არბოშიკში გარე განათების ქსელზე ძველი სანათების შეცვლა ახალი ლედ ტიპის სანათებით (180 ცალი) და 3 ცალი ახალი საყრდენის მოწყობა;
3. ე.წ. „უთრუთაანთ“ წყლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სათავის რეაბილიტაცია;

ოზაანი

1. სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე არსებული გარე განათების ქსელის ძველი სანათების შეცვლა ახალი ლედ სანათებით;
2. სოფლის ცენტრში არსებულ საბავშვო გასართობ მოედანზე და სოფლის საბავშვო ბაღში არსებულ საბავშვო ატრაქციონებთან კაუჩუკის საფარის მოწყობა;

თავწყარო

1. სოფლის შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა/დაგრეიდერება;

გამარჯვება

1. სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა;
2. სოფლის საბავშვო ბაღში ავარიული კედლის გამაგრება:

ხორნაბუჯი

1. სოფელში არსებულ გარე განათების ქსელზე ძველი სანათების შეცვლა (140 ცალი) ახალი ლედ ტიპის სანათებით (ქიზიყის, ფ. მოსულიშვილის, ლერმონტოვის და ვაჟა-ფშაველას ქუჩები);
2. სოფელ ხორნაბუჯში ქართული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
3. სოფელ ხორნაბუჯში რუსული სასაფლაოს შესასვლელი ჭიშკრის რეაბილიტაცია და გზის მოხრეშვა/დაგრეიდერება;
4. სპორტულ მოედანზე სასმელი წყლის მიყვანა:

ჭოეთი

1. სასაფლაომდე მისასვლელი და ჭაბურღილზე ჩასასვლელი გზების მოხრეშვა/დაგრეიდერება;
2. სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია;
3. სოფლის შესასვლელში მანიშნებელი აბრის დაყენება;

სამრეკლო

1. სოფლის ცენტრში არსებული ბავშვთა გასართობი მოედნის კეთილმოწყობა;
2. სოფლის შესასვლელში არსებული სკვერის რეაბილიტაცია;
3. სოფლის პირველ ქუჩაზე არსებული ბავშვთა გასართობი მოედნის რეაბილიტაცია;
4. სოფლის მე-14 და მე-10 ქუჩებზე არსებული ცხაურების რეაბილიტაცია;

ქალთა შრომითი ემანსიპაცია vs სამყაროს გამოწვევები

„მამაკაცი ნელ-ნელა დატოვებს შრომით სივრცეს და სადავეებს ქალს გადააბარებს"

ძველ დროში შრომა ნაკლებად სპეციალიზებული იყო, სოციუმის განვითარებასთან ერთად კი უფრო და უფრო ვიწრო შემოქმედების სფეროები – პროფესიები – გაჩნდა. შრომის დაყოფა საუკუნეების განმავლობაში გენდერული ნიშნით ხდებოდა და ეს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორებით იყო გამოწვეული.



ჩვენს ეპოქაში დედამიწის ქალთა ნახევარი მზად არის, უფრო ხმამაღლა განაცხადოს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ძნელად თუ წარმოიდგენდით ქალს ამა თუ იმ, მისთვის უჩვეულო პროფესიულ როლში. მაშინ არ არსებობდა არც ქალი-ზეინკალი, არც ასფალტის დამგები და არც ქალი-ეკონომისტი. მიუხედავად ამისა, სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალთა ემანსიპაცია (პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გათავისუფლება, ვისიმე ან რისამე დაქვემდებარებიდან, მფლობელობიდან გამოსვლა და შედეგად დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღება) აქტიურად დაიწყო, ახლა კი უკვე გამართულად დგას ფეხზე. ქალებს უკვე აღარ სურთ შინ ჯდომა ან მარტივი სამუშაოს შესრულება. ისინი აქტიურად ითვისებენ სხვადასხვა პროფესიას, ისიც კი არ აჩერებთ, რომ მათ შორის ბევრი მამაკაცურ პროფესიად მოიაზრება. იმაზე თუ რატომაა დღემდე დიფერენცირებული ქალისა და მამაკაცის პროფესიები, რამდენად განსხვავდებიან ისინი პიროვნული თვისებებით თავიანთ პროფესიებში, არსებობს თუ არა სქესთა შორის განსხვავება მაშინ, როდესაც საქმე პროფესიის არჩევას ეხება, რამდენად გაბატონებულია სტერეოტიპები დღევანდე შრომის ბაზარზე, **ფსიქოლოგი ბესო გიგოლაშვილი** გვესაუბრა:

– ბატონო ბესო, რამდენად განსხვავდებიან ქალები და მამაკაცები ქცევებით და პიროვნული თვისებებით თავიანთ პროფესიებში?

არამხოლოდ პროფესიული, ზოგადად, ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაცაა მათ შორის გარკვეული განსხვავება. ორივეს თავისი დამახასიათებელი უნიკალობა აქვს. თუმცაღა, ბოლო საუკუნების განმავლობაში, მეცნიერულ-ტენიკური რევოლუციის და საზოგადოებრივი წყობის განვითარების შედეგად, ქალთა მკაცრი რეგლამენტაცია, შედარებით რბილი გახდა და ქალები ნელ-ნელა ექსპანსირებას იწყებენ სხვა პროფესიების ათვისებისას. ბოლო 30 წელიწადში, ქალების რაოდენობა მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა შეიარაღებულ ძალებში, ძალისმიერ სტრუქტურებში, აგრეთვე ისეთ სფეროებში, რომელიც ტრადიციულად მამაკაცების სამოქმედო სფეროებად მიიჩნეოდა. ეს გამოწვეულია ქალისთვის დამახასიათებელი ობიექტური ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებებით. ქალი არის საკმაოდ პასუხისმგებლიანი, გულმოდგინედ ასრულებს თავის საქმიანობას, თანაბრად აჩქარებულია და შესაბამისად, შედეგი მისი მოღვაწეობისა საკმაოდ მყარია. მეორე, როგორც ფუნქციურად ისე სფეროების თვალსაზრისით, ქალის როლი ძალიან გაზრდილია. ფსიქო-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ქალი კრიზისულ ვითარებებში გაცილებით ამტანია. გარეგნულად ეს არ ჩანს და ამის მანიფესტირება არ ხდება, მაგრამ კრიტიკულ ვითარებებში, მაგ; საომარი მოქმედებების დროს, როდესაც მამაკაცის დეპრესიული მდგომარეობა უფრო ხშირია და ისინი ფუნქციას კარგავდნენ ხოლმე, ქალები იღებდნენ საკუთარ თავზე მათ ტვირთსაც. 90-იან წლებში, როდესაც ქალების უმეტესობა წასული იყო საზღვარგარეთ, უმუშევრობის გამო მამაკაცებს აქ ფუნქცია დაკარგული ჰქონდათ. იქედან წამოსული ბიუჯეტის მეხუთედი ნაწილი ავსებდა ჩვენს ცხოვრებას. როგორც თანამედროვე ტენდენციები აჩვენებს, ქალის როლი უფრო და უფრო გაიზრდება ჩვენს ცხოვრებაში.

- მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს ერთ აზრს, რომ სქესთა შორის განსხვავება მართლაც არსებობს, რომ ქალები და მამაკაცები მართლაც განსხვავებულად აკეთებენ გარკვეულ საქმეს, მაგრამ განსხავება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გაბატონებული სტერეოტიპები გვარწმუნებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემიაში ჩატარებული კვლევების თანახმად, მამაკაცი და ქალი კადეტების ქცევაში შეიმჩნეოდა ძალიან მცირე განსხვავება. მცირეა მონაცემები, რომლებიც მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია. როგორ უყურებს ამას ფსიქოლოგია? საიდან გამომდინარეობს ასეთი მცირე განსხვავება?

ასეთ განსხვავებას გარდა ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებებისა, რომელიც მამაკაცს აქვს, ქალის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობა და პოტენციალი განაპირობებს. ქალი შედარებით მეტად მოქნილია. ის კრიტიკულ სიტუაციებს შედარებით ადვილად ეგუება. მამაკაცი ძალიან ხისტად ეწინააღმდეგება და მოქნილობა ნაკლები აქვს. მას არ შეუძლია კონფლიქტის გადაჭრა. ქალს ბევრად ადვილად შეუძლია ადაპტირება და ორიენტირება. ასევე ქალებისთვის დამახასიათებელია ინტუიცია, რომელიც კაცისგან განსხვავებით, უფრო ძლიერი აქვს. ბუნებამ მათ ეს დაამადლათ. თუმცა არის პროფესიები, სადაც მამაკაცი ყოველთვის იქნება დომინანტური და წამყვანი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალების როლი ასეთ პროფესიებშიც იზრდება. მათი როლი წამყვანი არ გახდება, მაგრამ მაინც გაიზრდება. ამავდროულად ქალს დესტრუქციული ელემენტი ნაკლებად აქვს. ის როგორც შემრიგებლური ელემენტი ისე აღიქმება. მასში მეტია პოტენციურად დადებითი მუხტი. რაც განსაკუთრებით გამოსაყოფი და აღსანიშნავია, ქალი ხშირ შემთხვევაში უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე დესტრუქციული. ქალის რესურსის გამოყენება უფრო მრავალფეროვანი გახდება, რადგან თანდათან მათი ხვედრითი წილი უფრო მეტი იქნება სამყაროს ათვისებაში. ნიჭიერი და უკომპლექსო მამაკაცი, ამას ბუნებრივად მიიღებს და არ ექნება ამასთან არავითარი პრობლემა. მას ყოველთვის ურჩევნია, რომ ჭკვიანი ქალი ჰყავდეს გვერდით.

– გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქალების მიერ ტრადიციულად „მამაკაცური" პროფესიების არჩევას წინ ელობება მრავალი ბარიერი. ესენია: დაქირავების დროს ისეთი მოთხოვნების წაყენება (მაგალითად, ამა თუ იმ თვისებების ქონა), რომელიც ქალს არა აქვს. სამსახურში დაბულობის გამომწვევ ფაქტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ მიუღებლობა, სტერეოტიპები, პატარა შეცდომაზე არაადეკვატურად მკაცრი რეაგირება და სხვ. სამსახურში მიღების დროს გენდერული დისკრიმინაცია ხშირია. იგი საფუძველს ქმნის შემდგომში შრომის ბაზრის გენდერული სტრატიფიკაციისათვის (საზოგადოების დაყოფა იერარქიულ ფენებად სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, რომლის შედეგია უფრო მაღალი და უფრო დაბალი ფენების არსებობა). რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

ამ წარმოქმნილ ბარიერებს ფსიქოლოგიის შედარებით ახლადწარმოქმნილი დარგი - ერგონომიკა, ასევე შრომის ფსიქოლოგია სწავლობს. ამ დარგების თავისთავადი პოსტულატი ამბობს, რომ დიდია განსხვავება ქალისა და კაცის შრომის ფსიქოლოგიას შორის. მიუხედავად ამისა, მათი მინიმიზაცია, დაახლოება მაინც მოხდა. გადაულახავი განსხვავება მათ შორის არ არის. და თუ არის, ეს ძალიან მცირეა. სტერეოტიპი თუ დაამსხვრია ქალმა, ხდება თავდაჯერებული და შეუძლია გადალახოს ნებისმიერი ბარიერი. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, უცხოეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში, ძალიან გაზრდილია მემონტაჟე ქალების რიცხვი, მაშინ როდესაც ეს მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა. ევროპის ქვეყნებში ძალოვან სტრუქტურებში ქალების რაოდენობა 20-25% გაზრდილია, რაც წარმოუდგენელი იყო 50 წლის წინ. ქალების ხვედრითი წილის ზრდა გამონვეულია ძირითადად, იმით, რომ იმ საზოგადოებაში სადაც უშუალოდ რელიგიური ანდაც ეთიკური ნორმები არ კრძალავდა ქალების მიერ რაიმე თანამდებობის დაკავებას ან გარკვეული პროფესიის ათვისებას, იქ ადვილად მიდის ეს პროცესი, უმტკივნეულად. მაგრამ, განვითარებად ქვეყნებში, იქ სადაც სტერეოტიპებია დამკვიდრებული, გარკვეული პრობლემებია და ეს პროცესი უფრო ხანგრძლივდება. განვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყნებში ეს პრობლემა თითქმის აღარ დგას. იმ ქვეყნებში სადაც რელიგიური, საზოგადოებრივი, ქცევითი სტერეოტიპები ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად ნაკლებია, ქალს აღარ სჭირდება ბარიერების გადალახვა. შრომის ბაზარი განაპირობებს ამ სტერეოტიპების მსხვრევას. იმ ქვეყნის შრომის ბაზარზე, სადაც ეკონომიკურად მომგებიანია ქალის რეალიზაცია, იქ აუცილებლად ქალის მიმართ არსებული სტერეოტიპები შეიცვლება. ეს ზედნაშენი კატეგორია შეიცვლება, თუკი ქალის „გამოყენება" იქ ეფექტურია, მაშინ ნორმა გახდება მამაკაცური პროფესიების დაუფლება. ხშირ შემთხვევებში სოციალური და ეკონომიკური პირობები განაპირობებს ასეთ ლიბერალიზაციას. შრომის ბაზარს განათლება ქმნის, გულმოდგინება და კეთილსინდისიერება. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ მამაკაცებს ახასიათებთ ინიციატივიანობა, მებრძოლი სული, რომელიც ხანდახან გადამწყვეტია საქმიანობაში. მაგრამ ის, რასაც ეწოდება თანაბარ აჩაქრებული კეთილსინდისიერი მუშაობა, ხშირად ქალი უფრო კარგად ასრულებს მას. არა იმიტომ, რომ მამაკაცი ნაკლებია მასზე, კრიტიკულ სიტუაციებში შეიძლება მამაკაცმა უფრო მეტი გააკეთოს, მაგრამ თუ ექსტრემალური სიტუაცია არ არის, ხშირ შემთხვევაში ქალი უფრო ეფექტურია თავის საქმეში. მამაკაცი ნელ-ნელა დატოვებს შრომით სივრცეებს და გადააბარებს ქალს თავის სადავეებს, ეს კარგი გადაბარება იქნება. შეიძლება მტკივნეული იყოს, მაგრამ, მაშ როგორ შევეგუეთ ჩვენ რომ ქალი გასული იყო, მუშაობდა და საზღვარგარეთიდან აგზავნიდა თანხას? შევეგუეთ. განვითარებულ, წამყვან, ინდუსტრიულ ქვეყნებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებული სტერეოტიპები დაიმსხვა და ქალი განუხრელად ითვისებს ყველა პროფესიას.

-გარკვეულწილად აგრესია ხომ არ გამოიწვია მამაკაცებში ქალის სურვილმა აეთვისებინა ყველა პროფესია? თითქოს მათთვის მიუღებელი, დასაძრახია, სირცხვილია ქალის მსგავსი მდგომარეობა...

ეს გარკვეულწილად არასრულფასოვნების კომპლექსია, იმიტომ, რომ მამაკაცი საქართველოში საუკუნეების განმავლობაში თავდაჯერებული იყო, ის ტრადიციულად მიჩნეოდა დომინანტად. როცა მისი სოციალური და ეკონომიკური ფუნქცია დასუსტდა, და მან თავის გადარჩენისა და პოზიციების გამყარებისთვის სხვა ალტერნატივა ვერ მოძებნა, ქალმა იტვირთა ძალიან ბევრი რამ საკუთარ თავზე. ფსიქოლოგიური ბარიერი შეიქმნა კაცისთვის. აგრესიის გარდა სხვა გამოსავალი არ იყო, რადგან მაშინ მამაკაცს უნდა ეღიარებინა ქალის დომინანტურობა. ჩვენი სტერეოტიპი, ხშირად ფეოდალურიც, რომ მამაკაცი არის დომიმანტური დაბადებიდან სიკვდილამდე, და ქალი გაჩენილია მხოლოდ შავი სამუშაოს შესასრულებლად, უნდა დაიმსხვრეს, რადგან გვავიწყდება, რომ ის შავი საქმე, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია.

-არსებობს თუ არა პროფესიები რომლის შესრულებასაც ქალები ან მამაკაცები ვერ შეძლებენ?

ძალიან კარგი და აქტუალური კითხვაა. უნდა გითხრათ, რომ პროფესიების ასეთი ფორმულირება და დაყოფა პირობითია. აქაც არ არის კატეგორიული ზღვარი, თუმცა, არის პრიორიტეტები, რომელი პროფესიებიც სასურველია ქალისთვის და სასურველია მამაკაცისთვის. თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს, რომ სხვადასხვა პროფესიები აითვისოს ან ერთმა ჯგუფმა ან მეორემ. ეს ძალიან პირობითია. ადრე თუ ქალების მხრიდან ათვისებული იყო პროფესიების მეხუთედი, ახლა ეს მაჩვენებელი 40%-მდეა გაზრდილი. ბუნებრივია, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. ქალის როლი ევროპასა და ამერიკაში ძალიან დაფასებულია, მაგრამ ისინი მუდმივად ითხოვენ მათი მდგომარეობის უფრო მეტად გაუმჯობესებას. მუდმივად იბრძვიან ამისთვის. გამოსავალი ერთია: საკუთარი ძალებისა და სამყაროში არსებული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების რეალური შეფასება. თუ ობიექტურად ქალი უფრო უკეთ შეასრულებს გარკვეულ როლს, მაშინ მამაკაცის შეგნების ნიშანი და საწინდარია, რომ დაუთმოს მას ადგილი. და თუკი იქ ქალი შეატყობს, რომ მამაკაცის როლი უნდა იყოს მეტი, მან თავის შეგნებით უნდა დაუთმოს ადგილი მამაკაცს. ამ შემთხვევაში, დარეგულირდება და ერთ კონკრეტულ ფორმულაში მოთავსდება ყველაფერი.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ხუთშვილიანი დედა ზემო ქედიდან

როგორ ცხოვრობენ მრავალშვილიანი დედები სოფლად და როგორია 5 შვილიანი დედის ყოფა სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსით. რა სირთულეებია მრავალშვილიანი დედის სტატუსის მიღმა, ზემო ქედში მცხოვრები 5 შვილის დედა მაია თინიკაშვილი „შირაქს“ საკუთარ ყოველდღიურობაზე ესაუბრა.

მაია თინიკაშვილი: „თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში, 1989 წელს დავიბადე. ჩემი მეუღლე ზურა თინიკაშვილი ზემო ქედიდანაა და რუსთავში, ბიძაჩემთან გავიცანი. ერთმანეთი დედამთილის ძმამ გაგვაცნო. გაცნობიდან დაახლოებით 4 თვეში დავქორწინდით. მანამდე დედოფლისწყაროში ნამყოფი არ ვიყავი, უკვე 17 წელია ზემო ქედში ვცხოვრობ.

— ***პროფესია, ან განათლება თუ გაქვთ...***

— სკოლის დამთავრებისთანავე დავოჯახდი, სწავლა და პროფესიის შეძენა ვეღარ მოვასწარი, მაგრამ მეხერხება ქარგვა, კერვა, საკერავ მანქანასაც კარგად ვფლობ. შვილებს ხშირად ვუკერავ ტანსაცმელს, წინსაფრებს, თავსაფრებს. ნაქარგებიც მაქვს, მაგრამ ბევრი არა. სამწუხაროდ, ამ საქმეს ბევრ დროს ვერ ვუთმობ. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ვცდილობ განვიტვირთო და დრო ნაყოფიერად გავიყვანო, სწორედ ამ დროს ვქარგავ. ასეთი დრო კი, შვილებიდან გამომდინარე, ბოლო ხანს იშვიათად მაქვს.

— ***ოცნებობდით მრავალშვილიან დედობაზე?***

— არ მიფიქრია, რომ მრავალშვილიანი დედა გავხდებოდი, მაგრამ ასე მოხდა. სხვათაშორის, მეც ოთხშვილიან ოჯახში გავიზარდე, მაგრამ დაოჯახებისას არ მქონია გათვლა, რომ ხუთი შვილი მეყოლებოდა...

— ***რა შეგიძლიათ თქვათ შვილებზე, როგორ დაახასიათებთ თითოეულს?***

— 16, 14, 9, 6 და 4 წლის შვილები მყავს. პირველი და ბოლო ბიჭები არიან. უფროსი დათო ჭიდაობაზე კახა წიკლაურთან დადის. ერთი პერიოდი რაგბზე გადავიდა, მერე რატომღაც რაგბის გუნდი დაიშალა და ისევ ჭიდაობას დაუბრუნდა. პატარაობიდანვე ძალიან უნდოდა სპორტზე სიარული და ხელი შევუწყეთ. ჯერ მნიშვნელოვანი წარმატებები არ აქვს, მაგრამ იმედიანად ვართ, რომ წარმატებებსაც მალე მიაღწევს. მათემატიკური უნარები აქვს, ძალიან ჩხირკედელა ბავშვია, **თავისი უცნაური გამოგონებები აქვს. ზოგჯერ მექანიზმებით, ან ელემენტებით მოწყობილობებს აკეთებს და ასეთი ინტერესი აქვს.** ერთხელ რომ ააწყო და კარგად გამოუვიდა, მერე მიჰყვა და ცდილობს ამ მხრივ განვითარდეს. სოფელი ძალიან აქებს და ემადლიერება. ჩემს მამამთილსაც კარგი მათემატიკური უნარები ჰქონდა და ალბათ მისი ეს მონაცემები გენეტიკურია. რაც შეეხება ხასიათს, ძალიან წყნარი და მორიდებული ბავშვია. მამამისსაც ყოველთვის ეხმარება საოჯახო საქმეებში, შეშის დაჭრაში, ყველანაირად მხარში გვიდგა.

ეკა მძივებს და სამაჯურებს აკეთებს, ბისერებით სამკაულებს ამზადებს. თუმცა, არ გაუყიდია, თავისთვის ამზადებს, ან მეგობრებს ჩუქნის. ისიც წყნარი ბავშვია, ოჯახურ საქმეებში გვეხმარება. გალობის გუნდში დადის, გასულ ზაფხულს ზემო ქედის კულტურის სახლში კონცერტშიც მონაწილეობდა. სკოლაშიც კარგად სწავლობს.

ანასტასია შედარებით ცელქია, თუმცა ნიჭიერია. ხატავს, თოჯინებისთვის ტანსაცმელს კერავს და ასაკის შესაბამისად ერთობა. ლილე და ნიკუშა ჯერ პატარები არიან და საბავშვო ბაღში დადიან. ზოგჯერ, ბავშვები უფროსებს რომ ჩავაბარო, უპატრონებენ და ერთმანეთზე იზრუნებენ.

— ***როგორც ვიცი, ოჯახის ყველა წევრი უმუშევრად ხართ...***

— მე და ჩემი მეუღლე არ ვმუშაობთ, უფრო სწორად, მე ვერ ვმუშაობ, რადგან შვილებს მეტი ყურადღება უნდათ. მთელი დღე სახლ-კარის მოვლისა და რთული რეჟიმის გამო სახლიდან ვერ გავდივარ. მეუღლესაც არაფერი აქვს სამუშაო. პერიოდულად მშენებლობაზე დამხმარე მუშად წავა ხოლმე, ეს კი სტაბილური შემოსავალი არ არის. ზურას ვეტ-ექიმის განათლება აქვს, თუმცა არ უმუშავია.

— ***რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?***

— იანვარში ავიღეთ მერიისგან თითო ბავშვზე წლიური 50 ლარი, ასევე შეშის ფული. ასევე სოციალური საგენტოსგან ყოველთვიური საარსებო შემწეობა გვაქვს. დედამთილიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს და 8 სულზე გათვალისწინებულ დახმარებას ვიღებთ, ესაა ჩვენი შემოსავალი. არ გვყოფნის, მაგრამ ვცდილობთ ვიარსებოთ და თანხა გავაწვდინო. რთულია 5 შვილის მოვლა, რაც იზრდებიან, ხარჯიც მატულობს, ბევრი რამ უნდათ და უმუშევარი ოჯახისთვის დიდი ტვირთია. პერიოდულად, ერთჯერად დახმარებებსაც გვაძლევენ ხოლმე, ძირითადად წითელი ჯვრისგან მოგვდის პირველადი მოხმარების საგნების ყუთები.

— ***როგორ ფიქრობთ, გაჭირვების მიუხედავად, ბედნიერი ხართ?***

— **ბედნიერი ვარ ჩემი ოჯახით!... 5 შვილი დიდი პასუხისმგებლობაა, ყველას მომავალი უნდა შეუქმნა, ფეხზე დააყენო, ხარჯიც მეტია, მაგრამ მაინც დიდი ბედნიერებაა. შვილები ჩემი იმედია, გაიზრდებიან და ჩვენს გვერდით დადგებიან.** ახლაც ცდილობენ შეძლებისდაგვარად დაგვეხმარონ. არ შემშინებია 5 შვილის გაზრდა. ჩვეულებრივ ავიღეთ ეს ტვირთი და შევუდექით მათ აღზრდაზე ზრუნვას. მინდა, პირველ რიგში, განათლება მივცეთ. ისეთი ცხოვრებაა, თუ განათლება არ გაქვს, ისე ვერსად იმუშავებ. ასევე აუცილებელია კომპიუტერისა და უცხო ენის სწავლა, სხვანაირად ახალგაზრდების დასაქმება წარმოუდგენელია. საბედნიეროდ, ჩემს შვილებს აქვთ ინგლისურისა და კომპიუტერების მიმართ ინტერესი. ამ ეტაპზე არ ჭირდებათ რეპეტიტორებთან დამატებითი მომზადება, კარგად ითვისებენ.

— ***რა განცდა გაქვთ, სათანადოდაა დაფასებული მრავალშვილიანი ოჯახები?***

— სოფლის რწმუნებულის და მერიის მხრიდან ყურადღებას ვგრძნობთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მრავალშვილიან ოჯახებს მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს. მეტი მხარდაჭერა უნდა გვქონდეს, რომ გაძლიერება და შვილების სათანადოდ აღზრდა შევძლოთ. რთულია ცხოვრება, დღევანდელობა კიდევ უფრო გართულებულია, ფასების ზრდის და უმუშევრობის პერიოდში გვიწევს არსებობა. ყველაფერი ძვირდება, ბავშვები კი იზრდებიან და მეტი რამ ჭირდებათ. ძველ სახლში ვცხოვრობთ, რომელიც წინა თაობის აშენებულია და ნლებთან ერთად ამორტიზებულია, ყველა ოთახში წვიმის წყალი ჩამოგვდის. ჭერი ძველი კრამიტითაა გადახურული და როგორც ჩანს, უკვე შესაცვლელია... ნალექის დროს თასები გვიდგას ხოლმე. მერიაში მივედი, განცხადება დავწერე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტიდან სტიქიით დაზიანებულების აღდგენა შეუძლიათ, ხოლო რადგან სიძველის გამოა დაზიანებული, ამჯერად ვერ დაგვეხმარებიან... საკუთარი სახსრებით ჯერ ვერ ვახერხებთ ამ პრობლემის მოგვარებას...

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

მომავალი ფერმერულ მეურნეობებშია

29 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს „შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ. სკოლა, რომელიც ცნობილი შვეიცარიული ფერმერული სკოლის: „პლანტაჰოფის“ ანალოგია საქართველოში, მოქმედი/მომავალი ფერმერებისა და რძის გადამამუშავებლებისათვის 2021 წლიდან ახორციელებს გრძელ და მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს.

„შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერით, გეგმავს საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის განახორციელოს საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობები. ასევე იგეგმება საზაფხულო ბანაკების მოწყობა, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, სახალისო-შემეცნებითი აქტივობებით გაეცნონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად მიმართულებებს: ფერმერობას და რძის გადამუშავებას. სწავლებას განახორციელებენ სკოლის პროფესიული მასწავლებლები, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადების კურსი შვეიცარიაში. პროექტი ყველა ეტაპზე სრულიად უსასყიდლოა. პროექტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სკოლის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებთან და მათ პედაგოგებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს და დაგეგმილი აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრები ორ ლოკაციაზე – სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლასა და ქალაქ დედოფლისწყაროში გაიმართა. მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეხვედრების ჩატარება მომავალშიც იგეგმება.

„შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ უპრეცედენტო კერძო ინიციატივაა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლების სექტორში, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის აგრარული პროფესიული განათლებისა და საკონსულტაციო სისტემის განვითარებას. შვეიცარიული სტანდარტით შექმნილი პროფესიული სასწავლებელი სპეციალიზირებულია მეცხოველეობასა და რძის გადამუშავებაში. კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მოკლე და გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებს, ფერმერობასა და რძის პროდუქტების წარმოებაში. ამ მიზნით სკოლას აქვს საკუთარი სასწავლო ფერმები და ყველის ქარხანა.

კოლეჯის მიზანია გახდეს ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, პროფესიული განათლების თანამედროვე საგანმანათლებლო კერა, სადაც დაინტერესებული პირები თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შეიძენენ.

კოლეჯი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

***ორწლიანი პროფესიული პროგრამა მეცხოველეობაში, რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებაში. საჯარო კოლეჯების პედაგოგების გადამზადება.**

***მოკლევადიანი პროფესიული კურსები ფერმერებისა და მოყვარულებისთვის.**

***თეორიულ სწავლებასთან ერთად, უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკული განათლებაც.** კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ყველის ქარხანა. პროფესიული მასწავლებლების მეთვალყურეობით სტუდენტები თავად წარმართავენ ფერმის ყოველდღიურ საქმიანობას. პრაქტიკული სწავლის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს სასწავლო ფერმას (50 სულზე გათვლილი მერძევეობის ფერმა), რათა სტუდენტებმა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული ცოდნაც მიიღონ. ფერმა დაგეგმილია შვეიცარული მეცხოველეობის სპეციალისტის მიერ. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს ყველის საწარმოს. ყველის ქარხანა დაგეგმილია და აღჭურვილია შვეიცარული საინჟინრო კომპანიის გრობ აგ-ს მიერ. ქარხანა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ რძის პროდუქტის ფართო ასორტიმენტის დამზადება. რძის პროდუქტის ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით, ქარხანაში განთავსებულია თანამედროვე რძის ლაბორატორია.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ: სკოლის ვებგვერდი - **sasc.ge** ელექტრონული ფოსტა - **info@sasc.ge**

ინგა შიოლაშვილი

არ მოკლა! ისიც სასარგებლოა

ვაშლოვანის ეროვნული პარკი, არწივის ხეობა, ჭაჭუნას აღკვეთილი - ამ ჯადოსნური ადგილების ბუნებრივი სილამაზე და მდიდარი ბიომრავალფეროვნება კარგად ცნობილია ლაშქრობებისა და ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვების მოყვარულთათვის. ამჯერად „უხერხემლოთა კვლევის ცენტრის“ მიერ მიმდინარეობს პროექტი, რომელიც დაფინანსებულია რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ. ის ითვალისწინებს ვაშლოვანის ეროვნული პარკის სიფრიფანაფრთიანების ბიომრავალფეროვნების შესწავლას.



„პროექტი სამწლიანია, დაიწყო 2023 წელს და გრძელდება 2026 წლამდე. ჩართულები ვართ ჩვენი არასამთავრობოს 3 წარმომადგენელი და ერთი დამხმარე. მანამდე განხორციელებული გვაქვს რამდენიმე შეკვეთა-პროექტი საფრანგეთის მხარესთან. ოსლოს უნივერსიტეტთან გვქონდა ხანგრძლივი თანამშრომლობა, ისინი გვიკვეთავდნენ და ჩვენ ვიკვლევდით მასალას, რომლის მეშვეობითაც კავკასიის ბიომრავალფეროვნების კვლევა ხდებოდა. გერმანიის განათლებისა და კვლევების სამინისტროს პროექტის - კავკასიის სიცოცხლის ბარკოდირება **(CaBOL)** მიზანია კავკასიის ცხოველთა და მცენარეთა სახეობების დნმ ბარკოდირება და კატალოგიზირება. ამ ეტაპზე გამოკვლეულია კინტრიშის ეროვნული პარკის, რაჭა-ლეჩხუმის, ვაშლოვანის, გომბორის ქედისა და ლაგოდეხის მწერების ნაწილი. პროექტი მულტიინსტიტუციურია, მონაწილეობს 3 ქვეყანა და 6 დაწესებულება. ენტომოლოგიის ინსტიტუტის მონაწილეობა ამ პროექტში სიფრიფანაფრთიანების ნაწილით შემოიფარგლება. გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო პუბლიკაცია, სადაც 200-ზე მეტი კავკასიისათვის და 300-ზე მეტი საქართველოსათვის ახალი სახეობაა აღმოჩენილი, ხოლო 5-მეცნიერებისთვის ახალი“ – ამბობს ენტომოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი **გიორგი ჯაფოშვილი**.

28 თებერვალს სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული უნარების და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის და გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით სტუმრად იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის - „უხერხემლოთა კვლევის ცენტრის“ წარმომადგენლები: აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ბატონი გიორგი ჯაფოშვილი და პროექტში მონაწილე მეცნიერები მერიკო სალაყაია, აგრონომიის აკადემიური ხარისხის დოქტორი გიორგი კირკიტაძე და მაგისტრანტი ანა უგრელიძე. „უხერხემლოთა კვლევის ცენტრი“ ახორციელებს პროექტს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით - ვაშლოვანის ეროვნული პარკის სიფრიფანაფრთიანების ბიომრავალფეროვნება.

პროფესორმა გიორგი ჯაფოშვილმა ვრცლად ისაუბრა ენტომოლოგიის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში და მწერების მრავალფეროვნების თაობაზე, ასევე ვაშლოვანის ეროვნული პარკის სიფრიფანაფრთიანების ბიომრავალფეროვნებაზე.

მერი სალაყაიას მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჯგუფის მწერების თვალსაჩინო მასალა. დოქტორმა გიორგი კირკიტაძემ ისაუბრა ველური დამტვერავების და მათი მნიშვნელობის შესახებ.

სემინარს ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი, სკოლის დირექტორი თამარ ქეთელაური, დირექტორის მოადგილე მარიკა პოპიაშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო დევრისაშვილი, სოფელ ხორნაბუჯის, სოფელ სამრეკლოს, პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეები.

საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა ანი უგრელიძემ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, რომელმაც ახალი მონაცემები გააცნო დამსწრე საზოგადოებას ხერხიებზე, მხედრებსა და პარაზიტოიდებზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მწერების აღქმა მხოლოდ მავნებლებად, შეცდომაა და მათ არცთუ უმნიშვნელო როლი აკისრიათ სამყაროში.

ბავშვებმა ინტერესით მოისმინეს არა მარტო პროექტის შესახებ ინფორმაცია, არამედ მწერების ნაირსახეობებითაც დაინტერესდნენ და შეკითხვებიც დასვეს. განსაკუთრებული ინტერესი ჰერბარიუმმა გამოიწვია, რომელიც სტუმრებმა სპეციალურად მასპინძლებისთვის ჩამოიტანეს. შეხვედრის შემდეგ ყველა მონაწილე ერთხმად აღნიშნავდა, რომ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღო. მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად გამოთქვეს სურვილი, რომ ესტუმრონ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ მუზეუმს, სადაც უხერხემლოთა შესახებ მეტ ინფორმაციას მიიღებენ.

„ბავშვებთან ჩვენი შეხვედრის მიზანია, პირველი, ამ დარგის პოპულარიზაცია, მეორე, მნიშვნელობის განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაცულ ტერიტორიებს და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ამ რეგიონისთვის და მთლიანად საქართველოსთვის, კავკასიის ბიომრავალფეროვნებისათვის - ეს გვინდოდა აგვეხსნა ბავშვებისთვის. ასევე, გვინდა, რომ მათი ჩართულობაც გაიზარდოს. მათ გაიგონ, რამდენად მნიშვნელოვანია მწერების როლი კონკრეტული ეკოსისტემებისათვის, და სამოქალაქო აქტივობები რომ გაიზარდოს და ჩვენ გვყავდეს უკვე დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც ადგილიდან მიეხმარებიან მეცნიერებს, მეცნიერი დაუკავშირდება პოლიტიკოსებს და ასე შეიკვრება წრედი, რომელიც მთლიანი საზოგადოებისთვის იქნება სასარგებლო“ – განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას გიორგი ჯაფოშვილმა.

* * *

სკვერში სამი ბიჭუნა თამაშობს. გადაწყვეტენ, მინდორში დაგდებული ქვა რაღაცის ასაშენებლად გამოიყენონ, ქვას ამოატრიალებენ. მიწის ბინადარი ჭიაღუები, ხოჭოები, პაწაწა მწერები ქვის ღრმულიდან ამოფუთფუთდებიან. ბიჭები მწერების სრესას იწყებენ. გატაცებით, მხიარულად, ჭყივილით-ალბათ, რამდენი ჩვენგანი შესწრებია მსგავს სურათს. პროტესტის ანდა შეცოდების გრძნობა არავის უჩნდება, არც იმის შესახებ აწვდის ბავშვებს ინფორმაციას ვინმე, რამდენად საჭიროა პატარა მწერი და რომ ისიც სამყაროს აუცილებელი ნაწილია...

მწერები ცხოველთა სამყაროს ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები არიან. ცნობილია მწერების მილიონამდე სახეობა, თუმცა ისინი ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ინდივიდებს განეკუთვნებიან.

მწერები მონაწილეობენ ნივთიერებათა წრებრუნვაში. იკვებებიან მრავალგვარი საკვებით - ცოცხალი და მკვდარი მცენარეებით, ცხოველების ლეშით, რომლითაც ბუნების სანიტრების როლს ასრულებენ, მონაწილეობენ ყვავილოვანი მცენარეების დამტვერვაში, აუმჯობესებენ ნიადაგის მექანიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, იძლევიან საკვებს (ფუტკარი) და ტექნიკურ პროდუქციას (აბრეშუმის ჭია, კოშენილი, რომლისაგანაც წითელი საღებავი - კარმინი მზადდება და სხვა). ჭიანჭველაც სასარგებლო მწერია. იგი მავნებელ მწერებს ანადგურებს. ტყის ჭიანჭველა ტყეს იცავს, იგი უფრო ბევრ მატლს და მწერს ანადგურებს, ვიდრე ტყის დიდი წივწივა და ჭრელი კოდალა. ჭიანჭველები ბუდეებს აკეთებენ და ფუტკრებივით დიდ ოჯახად ცხოვრობენ.

თუ სეირნობისას ჭიანჭველის ბუდეს დაინახავ, ნუ დაანგრევ. გახსოვდეს, რომ იგი სასარგებლო მწერია.

ბიომრავალფეროვნების კლიმატურ და სხვა ეკოლოგიურ პარამეტრებზე დამოკიდებულების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თანამედროვე ბიომრავალფეროვნების სივრცული განაწილების ფორმირება და მოვახდინოთ პროგნოზირება, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის ბიომრავალფეროვნება კლიმატის ცვლილებით.

იმის გამო, რომ უხერხემლოების სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე, კლიმატს განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს მათთვის. მწერების განვითარების სისწრაფე პირდაპირ დამოკიდებულია ტემპერატურაზე. თავდაპირველი, ყველაზე მარტივი ბიოკლიმატური მოდელები სწორედ ტემპერატურის მიხედვით მწერების განვითარების სისწრაფის მოდელები იყო. ამ მოდელების გამოყენება ძირითადად სოფლის მეურნეობის მავნებლების რიცხოვნობის პროგნოზირებისთვის გამოიყენებოდა.

ინგა შიოლაშვილი

პედაგოგთა კონფერენცია და ახალი მეთოდები

დედოფლისწყაროში პედაგოგთა ეროვნული კონფერენცია გაიმართა. როგორც ორგანიზატორებმა „შირაქს“ აცნობეს, პედაგოგებმა კოლეგებს წარმატებული შედეგების მქონე მეთოდები გაუზიარეს. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო დანიური სწავლების მეთოდების დანერგვა ჩვენს სკოლებში.



მაყვალა მაძღარაშვილი ***(პედაგოგთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე):*** „რამდენიმე წელია პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს აქტიური თანამშრომლობა აქვს დანიის პროფკავშირთან, არაერთი გაცვლითი სასწავლო ვიზიტი და შეხვედრა განხორციელდა. დიდი სურვილი მქონდა ეროვნული კონფერენცია დედოფლისწყაროშიც ჩატარებულიყო, წარვადგინე განაცხადი და შეირჩა ჩვენი მუნიციპალიტეტი. ზოგადად, დიდი კავშირები გვაქვს დანიელ კოლეგებთან. დანიაში განათლების სისტემა საკმაოდ წარმატებულია და პედაგოგთა პროფკავშირიც ძალიან ძლიერი ორგანიზაციაა, ამდენად ჩვენი პროფკავშირის პრეზიდენტის მაია კობახიძის კავშირების დამსახურებით მოხერხდა ამ ურთიერთობების დამყარება. 150 მონაწილე ჰყავდა ამ კონფერენციას, საიდანაც 130 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პედაგოგია. 20 სტუმარი გვეწვია ისეთი სკოლებიდან, სადაც უკვე დანერგილია სწავლების დანიური მეთოდი და მათ ჩვენს პედაგოგებს კონკრეტული მაგალითები და შედეგები გააცნეს, გამოცდილება გაუზიარეს. ისაუბრეს, რა დამოკიდებულებები აქვთ მოსწავლეებთან, რა შედეგებს იძლევა ახლადდანერგილი მეთოდები და როგორია პრაქტიკა. უნდა ითქვას, რომ ძალიან წარმატებული მასწავლებლები არიან დედოფლისწყაროშიც. ადგილობრივ მენტორ მასწავლებლებსაც მივეცით შესაძლებლობა, საკუთარი პრაქტიკა და მიღწევები კოლეგებისთვის გაეზიარებინათ. მცდელობის მიუხედავად, ჩვენთან ამ დრომდე ვერ დაინერგა დანიური სწავლების მეთოდი, სწორედ ამიტომ მოვინდომე კონფერენციის დედოფლისწყაროში ჩატარება. მანამდე ორი პედაგოგი ჩავრთე, მაგრამ თინიკო ფიროსმანაშვილი საზღვარგარეთ წავიდა და ველარ მოახერხა გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება, მეორე პედაგოგსაც პრობლემები ჰქონდა. როგორც ჩანს კანდიდატები სათანადოდ ვერ შევარჩიე და პროცესი დაგვიანდა. დანიური მეთოდი სწავლების ქართულ მეთოდს ბუნებრივია ვერ შეცვლის და ასეთი პრეტენზია, ან ამბიცია არც გვაქვს... უბრალოდ, ეს არის მასწავლებლებისთვის ხელის შეწყობა და ახალი მეთოდების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. დარწმუნებული ვარ, კონფერენციის შემდეგ მონაწილე პედაგოგებმა აქ შეძენილი გამოცდილების გაკვეთილზე გამოყენება დაიწყეს და ვფიქრობ, დანიური მეთოდი ჩვენთან აუცილებლად დაინერგება. გულწრფელად გითხრათ, ძალიან მინდა დედოფლისწყაროს მასწავლებლები წარმატებულები იყვნენ და ამისათვის ყველაფერს ვაკეთებ. თუკი პროფკავშირების ეგიდით რაიმე კეთდება, ვცდილობ არაფერი გავაცდინოთ და ოპერატიულად ჩაერთოს დედოფლისწყაროც. შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებთ და ბიუჯეტს მთლიანად მასწავლებლებს ვახმართ. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. თავად მასწავლებელი უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მიიღოს სიახლები და თავადაც დანერგოს. იმდენად შინაარსიანი შეკითხვები დაისვა ამ კონფერენციაზე, რომ დიდი ინტერესი უკვე ჩანდა. დარწმუნებული ვარ აქტიურობას გააგრძელებენ. დანიური მეთოდი სულაც არ არის რთული. ვერ წარმოიდგენთ როგორი სახალისო და სასარგებლოა. ახლა საფინალო საერთაშორისო კონფერენცია იგეგმება იგივე თემაზე, სადაც უცხოელი სტუმრებიც ჩამოვლენ. 9 მარტს ქუთაისში მივემგზავრებით და 6 პედაგოგი მიმყავს დედოფლისწყაროდან.

ეკა სეფიაშვილი ***(დედოფლისწყაროს №1 სკოლის მენტორი მასწავლებელი):*** „კონფერენციაზე, დანიურ-ქართული პროექტის მონაწილე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები, მომხსენებლების პრაქტიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მეთოდოლოგიების გაცნობის პარალელურად, მსმენელთა მონაწილეობით, პრაქტიკულად განხორციელდა ინოვაციური აქტივობები და თამაშით სწავლების ინსტრუმენტები. დასკვნით ეტაპზე მასპინძელმა მასწავლებლებმა ჩვენი მუშაობის პრაქტიკა გავუზიარეთ კოლეგებს. მე, როგორც მენტორი მასწავლებელი, ვისაუბრე ჩემს მისიაზე და სწავლების ძირითად პრიორიტეტებზე. კოლეგებს გავაცანი მენტორის სტატუსის მინიჭების შემდეგ ჩემს მიერ განხორციელებული ღონისძიებები სკოლაში, თემში, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებებით. კონფერენცია ნამდვილად ნაყოფიერი იყო. გამოცდილების გაზიარება და უწყვეტი თანამშრომლობა კოლეგებს შორის, გვზრდის და გვაძლიერებს მასწავლებლებს. პროფკავშირები კი მუდმივად ზრუნავენ და გვანებივრებენ მსგავსი ტიპის შეხვედრებით“.

ილია მარტყოფლიშვილი

ჩვენი ოთხფეხა შინაური მეგობრები ახალი კანონის მოლოდინში

პარლამენტში „შინაურ ბინადარ ცხოველთა კანონპროექტის“ განხილვა დაიწყო ამ დღეებში. ამ კანონს წლებია მოუთმენლად ელიან ცხოველთა უფლებების დამცველები. ცხადია, კანონის გარეშე, ვერანაირი მორალი თუ რელიგია ვერ მოაგვარებს იმას, რომ ხან ადამიანი იყოს ცხოველის მსხვერპლი, ხან კი პირიქით.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი შინაური ცხოველების დაცვას და პოპულაციის მართვას უნდა მოემსახუროს. კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია პარლამენტში 15 თებერვალს გაიმართა, რომლის მიხედვითაც, ჯერჯერობით, შინაურ ბინადარ ცხოველებში მხოლოდ ძაღლი და კატა იგულისხმება, ეს ჯგუფი კი გაცილებით დიდია, რადგან შინაური ბინადარი ანუ კომპანიონი ცხოველის არსში იგულისხმება დიდი ჯგუფი ცხოველებისა, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური და სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის არიან თევზები, ზაზუნები, ფრინველები). შესაბამისად, ის, რომ ეს კანონი არეგულირებს მხოლოდ ძაღლების და კატების პოპულაციას, თავიდანვე უნდა იყოს აღნიშნული. ახალი კანონით, კერძო თავშესაფარს უფლება ეძლევა, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მოაწყოს საშენი. ამ და სხვა საკითხებზე ჩვენ ცხოველთა მოყვარულ თანაქალაქელებს გავესაუბრეთ, რომლებიც მოუთმენლად ელიან, რა სიკეთეს მოუტანს ეს კანონი მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფ შინაურ ცხოველებს.

ნინო ნ. ჩვენთან საუბარში ეწინააღმდეგება კანონში საშენზე და თავშესაფარზე ჩანაწერს: „ეს დაუშვებელია! რადგან ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზანს და პოპულაციის მართვის მაგიერ ხდება პოპულაციის ზრდა, თავშესაფარი ვერ იქნება საშენი. თავშესაფრის ფუნქცია ცხოველების გასხვისებაა და არა გამრავლების შემდეგ მათი გაყიდვა... თავშესაფარი ის ადგილია, სადაც მოხვედრილ ძაღლს სტერილიზაცია უნდა ჩაუტარდეს. მაგრამ, ამავე დროს, მას შეუძლია თავისივე ტერიტორიაზე საშენი მოაწყოს. ანუ მეტისებს კი გაასტერილებს, მაგრამ თუ აღმოაჩენენ სუფთა ჯიშის ცხოველს, შეუძლიათ, გაამრავლონ და გაყიდონ კიდეც - ეს არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქცია“. ქალბატონ ნინოს სწორად არც ის მიაჩნია, რომ მეზობელს უნდა დაეკითხო, გყავდეს თუ არა შენთვის სოციალური როლის მატარებელი ცხოველი:

„ცხადია, მეზობლები არ უნდა შეწუხდნენ ამით, არ უნდა იყოს დაბინძურებული და ა.შ. თუმცა, ყოველთვის გამოჩნდება ისეთი მეზობელი, რომელსაც უბრალოდ არ ესიამოვნება, შენ თუ რამდენიმე ძაღლსა და კატასთან ერთად შეგხვდება. თუ მოუნდება, ის გიჩივლებს ყოველთვის, სამ ცხოველთან ერთად შეხვდები მას სადარბაზოში თუ მეტთან. ამას რომ თავი დავანებოთ, დავუშვათ, სამი შინაური ცხოველი მყავს, როგორც კანონი ამას მიწესებს და მეზობელი მაინც შეწუხდა და მიჩივლა. რა უნდა ვქნა? ანუ, ისევ და ისევ, ქუჩის ცხოველების პრობლემის ჰუმანურად გადაჭრის გზები ქრება. თუ ამას მიწესებს სახელმწიფო, მაშინ ისიც უნდა ამიხსნას, რა არის ამის მიზეზი. სავარაუდოდ, ეს შემგროვებლების წინააღმდეგ მიმართული ზომაა, თუმცა მსგავსი ფორმით ამის გაკეთებაც არასწორია. მართალია, ჯერ მხოლოდ განხილვებია და კიდევ ბევრი ცვლილება მოხდება, მაგრამ პირველ რიგში, გამრავლების ანუ სტერილიზაცია-კასტრაციის პრობლემა უნდა გადაიჭრას და კიდევ უფრო ჰუმანური გახდეს ეს კანონი. ჯერ არ მომწონს და მაშინებს ჯარიმების ეს ჩამონათვალი. მთელი ცხოვრება მათზე ვზრუნავ, ძლივს ვახერხებ მათ გამოკვებას და ახლა რომ დამაჯარიმონ, რით გადავიხდი?“-აცხადებს ქ-ნი ნინო.

შინაური ბინადარი ცხოველების შესახებ კანონპროექტის თაობაზე გვესაუბრა **მირანდა ბაკურაძე,** რომელიც არამხოლოდ მის მიერ შეკედლებულ შინაურ ცხოველებზე ზრუნავს, არამედ მანქანით დაატარებს მათ საკვებს და გზადაგზა კვებავს უპატრონო ცხოველებსაც. იგი ფიქრობს, რომ „ამით მიუსაფარ ცხოველებს წირავენ და მინიმუმამდე დაჰყავთ მათი მიკედლების რიცხვი. თუკი ცვლილებები არ განხორციელდა და ეს კანონპროექტი ასეთი სახით შევა ძალაში, ასეთი შეზღუდვების პირობებს და ასეთ ჯარიმებს მეპატრონეები ვერ გაუძღვებიან და კანონის ამოქმედებამდე სასწრაფოდ გაყრიან ცხოველებს, რაც გაზრდის ევთანაზიის რიცხვს, ამავდროულად თავშესაფრებში დაშვებული იაფიანი მომშენებლის გადასახადით აყვავდება გამრავლების ბიზნესი“ – აცხადებს ჩვენთან საუბარში ქ-ნი მირანდა.

ჩვენ ამ აქტუალურ თემასთან დაკავშირებით გამოგვეხმაურა სოფელ არბოშიკის მკვიდრი, ქ-ნი **ია გონაშვილი,** რამდენიმე ოთხფეხა მეგობრის პატრონი, რომელსაც ასევე ძალიან აღელვებს ეს კანონპროექტი ამ სახით.

„ვფიქრობ, რომ არაა სწორი ასე ცალსახად გადაჭრა ეს საკითხი მეზობლების ნებართვის საფუძველზე. ეს უფრო მეტად წაახალისებს უპატრონო შინაური ცხოველების ზრდას, რადგან თუ მიკედლების და მოვლისთვის უმრავლესობის თანხმობაა საჭირო, ყველა გარეთ გაუშვებს თავის შინაურ ცხოველს, რაც არ ითვალისწინებს ცხოველების კეთილდღეობას, პირიქით, უფრო ნაკლებ შანსს უტოვებს მიუსაფარ ცხოველებს რეალური პატრონის გამოჩენის ან არსებობის.

მე პირადად სამი ძაღლი მყავს და, რა თქმა უნდა, ყველანაირად ვცდილობ, არ შეაწუხონ არავინ და ყველა წესს ვიცავ, რომ ჩემს გარშემო მყოფნი უსაფრთხოდ იყვნენ, მაგრამ ყოველთვის იქნება ვიღაც, ვისაც უბრალოდ ის ფაქტი არ მოეწონება, რომ სამი ძაღლია ოჯახში, ის კი არა, რომ რამეს აშავებენ.ამიტომ, ჩემთვის მისაღები არაა ეს კანონი ასეთი ფორმით.“

მკითხველისთვის ნათელია, რომ ჩვენი რესპოდენტები და არა მხოლოდ ისინი, ცხოველთა უფლებებზე მომუშავე სრულიად საზოგადოება, ხარვეზებით სავსედ მიიჩნევს აღნიშნულ კანონპროექტს და მას სოციალურ ქსელებში უკვე „შინაურ ცხოველთა გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაც“ უწოდეს. ამიტომ, იმედია, საჭირო ცვლილებები განხორციელდება და ის მორგებული იქნება როგორც მოსახლეობაზე, ასევე ჩვენს საყვარელ ოთხფეხა მეგობრებზე.

სავარაუდოდ, ახალი კანონპროექტი ძალაში 2025 წლის იანვრიდან შევა, ხოლო სანქციები 2025 წლის ივლისიდან ამოქმედდება.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ალიკა ღორაშვილი

ჩემო ალიკა, 40 დღე გავიდა რაც დატოვე ეს ქვეყანა 46 წლის ასაკში და გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში. ოჯახს შენი წასვლით საძირკველი გამოეცალა, დაეკარგა ძლიერი საყრდენი. შენ იყავი შენი გამრავლებული ოჯახის ბურჯი, მშრომელი, თბილი, ტკბილი, ალერსიანი მეუღლე და მამა.

40 დღე გავიდა, რაც შენს დედას, მამიდას არ შემოხმიანებიხარ, არ მოგვფერებიხარ, ჩემო გულჩვილო ალიკა. შენი ხმა ყურებში ჩამესმის სიკვდილის წინ რომ დამირეკე, მომიკითხე, მანუგეშე, მალე დამემშვიდობე და მითხარი: -„კარგი მამიდა მეჩქარებაო“. რა ვერ აიტანა შენმა გულმა? ყველაფერი წამებში მოხდა. გადასარჩენად ვერაფერი შესძლო ცოლ-შვილმა, ძმამ, რომელსაც ხელებში ჩააკვდი, მეზობელ-მეგობრებმა, სასწრაფოს ექიმებმა. გათენდა დილა და მამიდას საყვარელი ძმისშვილი აღარ ჰყავდა. შენს ძმას ლევანს მხარი ჩამოუგდე. ერთობლივად ბევრი რამის გაკეთებას რომ გეგმავდით, ეხლა რა ქნას მარტოდ დარჩენილმა? რომელ ერთს გაუძღვეს? თვითონაც დიდი ოჯახი აქვს, თავზარი აქვს დაცემული, დიდი ძალა იყავი შენი ძმისთვის.

ჩემო დიდო ტკივილო, მე ხომ დედის და ძმის სიკვდილი ჯერაც არ მომინელებია. შენ რატომ გაგიმეტა ღმერთმა სასიკვდილოდ? ღმერთისგან დაჯილდოვებული იყავი გარეგნობით, სიკეთით სავსე იყავი, რა იქნებოდა ღმერთს შენთვის სიცოცხლეც ეჩუქებინა, რომ შენი შვილების მომავალს მოსწრებოდი. ჩემმა ძმამ სპარტაკმა ლაღი ცხოვრებით გაგატარებინათ ბავშვობა. ბედნიერი ყოფილა, რომ შენს უბედურებას არ მოესწრო.

მამის სიკვდილს როგორ განიცდიდი და ბავშვივით ტიროდი, ნეტავ, შენც გამხდარიყავი იმის ასაკის. განა 72 წელი ბევრია? მაგრამ შენ 46 წელი გარგუნა ბედისწერამ...

ალიკა, შვილო, რაც დამოუკიდებელი ცხოვრება შესძელი, დაოჯახდი, მას მერე და ბოლო წუთებამდე ოჯახზე ზრუნავდი, შენთვის არაფერს იმეტებდი, ოღონდ შენს ცოლ-შვილს არაფერი მოჰკლებოდა. სანდრო და ნინო დიდები არიან. ნინო აბიტურიენტია, ეხლა სჭირდებოდი. გაბრიელი მე-2 კლასის მოსწავლეა, რომელსაც მოაკლდება შენი დიდი სითბო. გკითხულობს, მამა არ მოვაო? ჩემო უაღრესად გამწარებელო ბიჭო ყველა თავის გზას როგორღაც მონახავს. შენ კი აღარ გვეყოლები. დედას და მამიდას უკვე მოგვაკლდა შენი ყურადღება, მოფერება. ნეტავ ასეთი არ ყოფილიყავი.

ალიკა, შვილო, სანამ ცოცხლები ვიქნებით არაფერს მოგაკლებთ, რაც ჩვენზე არის დამოკიდებული, არ დაგივიწყებთ არასოდეს. არ დაგივიწყებს შენი მეზობელ-მეგობრები, რომლებსაც ძალიან, ძალიან ჰყვარებიხარ, ყველამ დიდი პატივი დაგდო, გგლოვობენ. ლევანს გვერდში უდგანან. მადლობა მათ ყველაფრისთვის.

ალიკა, იმედი მაქვს თავისი კალთის ქვეშ ეყოლები ღვთისმშობელს, ნურაფერი შეაწუხებს შენს სულს. მჯერა, რომ კუთვნილ ადგილს მიგიჩენს სამოთხეში. უფალი იყოს შენი მფარველი.

დედა თამარ პოპიაშვილი, ***ძმა*** ლევანი, ***მამიდა*** ანგელინა ღორაშვილი, ***შენი ოჯახი და ახლობლები.***

2023 წლის საუკეთესო ადამიანები გამოვლინდნენ

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება ამაგდარის გამგეობის მიერ (თავ–რე ვახუშტი ქიზიყურაშვილი) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ საქართველოს მასშტაბით 2023 წლის საუკეთესო ადამიანები:

მანანა ახმეტელი, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავ–რე, კახი კალაძე - თბილისის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიან ლომიძე - გაზეთ „ბორჯომის“ მთავარი რედაქტორი, მაყვალა ხორბალაძე -კომპოზიტორი, გივი ხარულიძე - მწერალი, მსახიობი, ქორეოგრაფი, მარიკა პოპიაშვილი - დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი, ინგა შიოლაშვილი - დედოფლისწყაროს გაზეთ „შირაქის“ დირექტორი, მაყვალა ხორბალაძე -კომპოზიტორი.

თითოეულ მათგანს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, წარმატებას თავიანთ საქმიანობაში. მათ საპატივსაცემოდ გაიმართება 26 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იაპონური ნახატების გამოფენა და საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი.

კიკბოქსინგელების მორიგი წარმატება

კიდევ ერთი გამარჯვება დედოფლისწყაროელი კიკბოქსინგელების ანგარიშზე!

16-17 თებერვალს საქართველოს კიკბოქსინგის და ტაილანდური კრივის ფედერაციამ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩაატარა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში. შეჯიბრი გაიმართა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“ (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი) აღნიშნული შეჯიბრიდან სხვადასხვა სინჯის მედლებით დაბრუნდა.

9 პირველი, 6 მეორე, 1 მესამე ადგილი.

ასეთია გუნდი „ჩემპიონი“-ს სპორტსმენთა მონაპოვარი. ჩემპიონები გახდნენ: ***თითილოკაშვილი ირაკლი, ბაღდასარიანი გიორგი, ქადაგიშვილი გიორგი, შიტუხინი ივანე, მუსაელიანი ნიკა, თარალაშვილი ნიკა, ბაღდასარიანი მიხეილი, ტუმასიანი ლუკა, მეხრიშვილი ლუკა.***

მეორე ადგილი: ***ლიქოკელი გიორგი, ილია გოგჩაშვილი, ზაღოშვილი ომარი, რამაზ უსუფაშვილი, თაზო გოდერძიშვილი, მათე მათეშვილი.***

მესამე ადგილი: ***ლუკა ჩაჩანიძე.***

კიკბოქსენგელებს წინ უამრავი საინტერესო ღონისძიება ელით და აუცილებლად კვლავ მრავალჯერ ასახელებენ ჩვენს რაიონს.

მეუღლე ლია ბალხამიშვილი; დები: იზა, ნათელა, ნანა, სიძეები: მერაბი, თემური (მურთაზი), დეიდები: მარინა, ფეოდორა, ეკატერინე, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ავთანდილ ივანეს ძე აფციაურის გარდაცვალებას.

დაიკრძალა 22 თებერვალს,13 საათზე, დედოფლისწყაროში.

ქეთი ბენაშვილის „ამბის მქსოველი“

ქეთი ბენაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა ქალაქ თბილისში, „გალერეა 9“-ში. ამავე გალერეამ მის ნამუშევრებს გასულ წელსაც უმასპინძლა. ამჯერად გამოფენა სახელწოდებით „ამბის მქსოველი“ დედაქალაქში 27 თებერვალს გაიხსნა და 12 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. ექსპოზიცია შემოქმედის 20 ნამუშევარს აერთიანებს.

ავტორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში დაიბადა და გაიზარდა. როგორც ქეთი ბენაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, ამჯერად ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი ახალი ნამუშევრები წარადგინა. მისი თქმით, ნამუშევრების დიდი ნაწილი პარიზში ყოფნის შემდეგ შეიქმნა. როგორც თავად ამბობს, საფრანგეთში ცხოვრებამ, ახალმა გარემომ და ადგილებმა მის ნამუშევრებზეც იქონიეს გავლენა.

ქეთი ბენაშვილი: „ამბის მქსოველი“ ყველა ჩვენთაგანზეა, ყველანი ამბის მქსოველები ვართ, მაგრამ ერთიდაიგივე ამბავს ყველა სხვადასხვაგვარად აღვიქვამთ. ეს სერია სწორედ ამ აღქმებს და ამბების მიმართ ჩემს დამოკიდებულებებს ეძღვნება. რა თქმა უნდა, გამოფენა ჩემს შესახებაა და ჩემს მიერ დანახულ ამბებს გადმოვცემ, მაგრამ გალერეაში მოსულ დამთვალიერებელს არ დახვდება მხოლოდ ჩემი ამბები. მას აქ უამრავი კითხვის ნიშანი დახვდება, საკუთარ თავთან პირისპირ აღმოჩნდება. დამთვალიერებელს მოუწევს დაფიქრდეს, თავად რა ფაზაშია, როგორ ამბებს ქსოვს, რამდენად თავსებადია, ან შეუსაბამობაშია სხვის ამბებთან. კმაყოფილი ვარ გამოფენის გახსნით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

სოფიკო ქებურია ***(ხელოვნებათმცოდნე):*** „ძალიან მომეწონა როცა რაც შეეხება საფრანგეთის გავლენას, გავლენა ნაკლებად, ალბათ, უფრო ინსპირაციის წყარო ხდება ხოლმე ის ადგილები და მდგომარეობა, სადაც რაღაც ეტაპზე ვხვდები. ამჯერად საფრანგეთში დანახული და განცდილი ამბები გახდა ამ გამოფენის წყარო. ნახატების გარდა ცხენის ქანდაკება იყო წარმოდგენილი და კედელზე გადიოდა ქსოვის პატარა გიფი, ანუ სხვადასხვა მედიუმში იყო ნამუშევრები წარმოდგენილი“.

სოფიკო ქებურია ***(ხელოვნებათმცოდნე):*** „ძალიან მომეწონა როცა ვნახე კრეტას სანაპირო, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, კლოდ მონეს პეიზაჟებით. მაგრამ ქეთი ბენაშვილმა მოახერხა ის, რომ მონეს თალით კი არ დაენახა ეს სანაპირო, არამედ საკუთარი ხედვა შემოეთავაზებინა. ეს არის არა მხოლოდ პეიზაჟი, არამედ შინაგანი განცდების გადმოცემა“.

მაკა იოვაძე ***(გალერისტი):*** „ქეთი ბენაშვილი არის ერთ-ერთი ნიჭიერი თანამედროვე მხატვარი და ხელოვანი. მისი შემოქმედება საზღვრებს სცდება, იმდენად ძლიერი ნამუშევრები აქვს. ყველა მათგანი თავის სათქმელს ამბობს“.

დამთვალიერებლები ახალგაზრდა შემოქმედის განსხვავებულ სტილზე მიანიშნებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მისი ნამუშევრები მრავლისმთქმელია“.

ილია მარტყოფლიშვილი

მოზარდებმა ნაადრევ ქორწინებაზე იმსჯელეს

ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში ადრეულ ქორწინებაზე იმსჯელეს. პრობლემურ საკითხებზე მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან სამოქალაქო განათლების პედაგოგმა რუსუდან კორკოტაშვილმა ისაუბრა და გაკვეთილზე სკოლის ექიმი თეა ყოჩიაშვილი მოიწვია. №2-ე სკოლაში მიიჩნევენ, რომ ადრეული ქორწინების პრობლემის სასკოლო საზოგადოებაში განხილვა მნიშვნელოვანია.

თეა ყოჩიაშვილი ***(სკოლის ექიმი)*** „ბავშვები კარგად იყვნენ ინფორმირებული ნაადრევი ქორწინების უარყოფით მხარეებზე. აქტიურობდნენ და ჰქონდათ საინტერესო შეკითხვები. განვიხილეთ რა უარყოფით გავლენას ახდენს ნაადრევი ქორწინება ადამიანის ორგანიზმზე. ვისაუბრეთ სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე და მისი პრევენციის გზებზე. ზოგადად, ხშირად გვაქვს მსგავსი ღონისძიებები ასაკისა და საჭიროების მიხედვით. სკოლაში ასეთი შეხვედრების ინიციატივა არის ექიმის, ან პედაგოგის, რომელიც ექიმთან ერთად ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილს“.

რუსუდან კორკოტაშვილი ***(პედაგოგი):*** „სამოქალაქო განათლებას ვასწავლი და მეშვიდე კლასის პროგრამაში ერთი თავი ეთმობა ჯანსაღ ცხოვრებას. სწორედ ახლა გავდივართ ამ თავს, განვიხილეთ ჯანსაღი კვების, არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის, გარდატეხის ასაკის საკითხები. ამჯერად კი ნაადრევ ქორწინებას შევეხეთ. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ბავშვებმა საკმაოდ იაქტიურეს და ექიმთან შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა. მეშვიდე კლასელები მშვენივრად აცნობიერებენ, რატომაა დანაშაული არასრულწლოვანთა ქორწინება. ითქვა ისიც, რომ ნაადრევი ქორწინება ბოლო ხანს დასჯადი გახდა. როგორც აღმოჩნდა, ისინი გვეთანხმებიან, რომ ნაადრევი ქორწინება მართებული არ არის. რომ ის მოზარდს ხელს უშლის სწავლაში, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში. იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს და ა.შ. გაკვეთილის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ბავშვები იზიარებენ ამ ყველაფერს. პროგრამაში გვაქვს ისიც, რომ მომდევნო კვირაში მოსწავლეთა ჩართულობით უნდა შევქმნათ კედლის გაზეთი, ე.წ. პოსტერი, სადაც მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნება, რომ ნაადრევი ქორწინება არასასურველია.“

არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობის ჩამონათვალი ასეთია: 2020 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 42 პირის მიმართ, 2021 წელს - 67 პირის მიმართ, ხოლო 2022 წელს (6 თვე) - 44 პირის მიმართ. რაც შეეხება კახეთის რეგიონს, ყოველწლიურად, საშუალოდ, 15 ასეთი შემთხვევა ფიქსირდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.03		სამშაბათი 05.03		ოთხშაბათი 06.03		ხუთშაბათი 07.03		პარასკევი 08.03		შაბათი 09.03		კვირა 10.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	7°	0 °	10°	−1°	12 °	3 °	12°	2°	9°	1 °	7°	-1 °	5 °	-2 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი; ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი